საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 22 01789566

01/07/2022

ქალბატონ ანნა ხიტირს
პირადი ნომერი: 26001036823
ტელეფონის ნომერი: 598419915
მისამართი: არსენა ოძელაშვილის 28
ელფოსტა: *foi+request-664-95ab4365@askgov.ge*

ქალბატონო ანნა,

მიმდინარე წლის 20 ივნისის №1664306 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა. განგიმარტავთ, რომ 2021-2022 წლებში, შრომით ურთიერთობებში, ქალთა და მამაკაცთა მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები ერთიანდება ინციდენტის ტიპის ქვეშ: **„სექსუალური ხასიათის დანაშაული“.** ეს ინციდენტის ტიპი მოიცავს სექსუალური ძალადობის ხასიათის მატარებელ ნებისმიერ ქმედებას. იგულისხმება ძალადობრივი სექსუალური შეღწევა (გაუპატიურება), ასევე სექსუალური ხასიათის ნებისმიერი სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ რაოდენობრივ ჭრილში

და მისი დეტალური ჩაშლა არ ხდება. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ინციდენტის ტიპით **"სექსუალური ხასიათის დანაშაული"** დარეგისტრირებული შეტყობინებების რაოდენობიდან, გავმიჯნოთ მხოლოდ სექსუალური შევიწროების ფაქტები. ასევე, არ ხდება მონაცემების დამუშავება სქესის მიხედვით.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**